

899.962.1  
გ-239

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ბანცაძე მადონა

ექვთიმე თაყაიშვილი - ძველი ქართული  
მწერლობის მკვლევარი

10.01.01. ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე შ ქ რ ა ტ ი

თბილისი 2001


22 53 2001

ნაშრომი უმსრულებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი სამეცნიერო  
ლიტერატურის ინსტიტუტის კათედრის.

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი **ლევან მინაგაძე**

ოფიციალური ოპონენტები:

1. ჭუმბურიძე ჯუმბერ - ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი (10.01.01)
2. ჯაიანი მარინა - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
დოცენტი (10.01.01)



დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წლის „21“ „XII“  
„12“ საათზე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი  
ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, შიფრით  
P 10.01.CN#5

მისამართი: 3800028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.  
მისამართი: 380043, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N11

ავტორეფერატი დაიგზავნა 2001 „16“ „XII“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

ნოდარ ტაბიძე

თემის აქტუალობა - ქართული კულტურისა და  
ლიტერატურის შესწავლას მძლავრი იმპულსი XIX ს-ის მიწურულსა და  
XX ასწლეულის დასაწყისში მიეცა. სწორედ ამ ხანებში ჩამოყალიბდა და  
მკვიდრ სამეცნიერო ნიადაგზე დადგა ქართველოლოგია. მისი წინსვლა და  
წარმატებანი დიდად იყო დამოკიდებული ნიჭიერ, შემოქმედებითი ბუნების  
მკვლევრებზე. ამგვარ მკვლევართა შორის სრულიად გამორჩეული ადგილი  
უკავია ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილს.

ფართო განსწავლულობა და დიდი პასუხისმგებლობა ეროვნული  
კულტურის წინაშე განაპირობებდა იმას, რომ ე. თაყაიშვილი მოგვევლინა  
მრავალი დარგის უნიკალურ მკვლევრად.

ჯერონად შეაფასეს და დააფასეს მრავალმხრივი შემოქმედის  
გარჯა ისტორიკოსებმა, ეთნოგრაფებმა, სამართალმცოდნეებმა,  
ფოლკლორისტებმა. მათ გამოკვლევები, სტატიები, ნარკვევები,  
მონოგრაფიები და სადისერტაციო ნაშრომები უძღვნეს ფრიად დამაშვრალ  
მკვლევარს. დღემდე ე. თაყაიშვილის შემოქმედების ფილოლოგიურ ძიებას  
ყველა სხვა დარგის ძიება უსწრებდა წინ. მართალია, მითითებულ  
ნაშრომებში საკმაოდ ფართოდ არის საუბარი ე. თაყაიშვილის  
ფილოლოგიურ დეაწლზე, მაგრამ გაღრმავებული კვლევა ამ კუთხით  
არავის უწარმოებია. მასასადამე, აღნიშნული თვალსაზრისით  
ფილოლოგიური მეცნიერება სხვა დარგებს იმდენად ჩამორჩებოდა,  
რამდენადაც მონოგრაფიულად შეუსწავლელი და გამოუკვლევია გახლდათ  
ე. თაყაიშვილის უზარმაზარი ფილოლოგიური ნაღვაწი. მართალია, ნ.  
მარმა, კ. კეკელიძემ, ა. ბარამიძემ, ი. მეგრულიძემ, ა. შანიძემ, ლ.  
მენაბდემ, ლ. ნანიტაშვილმა, ე. უბილაევამ, ე. კელენჯერიძემ, ზ.  
ჭუმბურიძემ, ი. ლოლაშვილმა და სხვებმა ცალკეული მოსაზრებანი,  
შენიშვნები, კომენტარები, ნარკვევები უძღვნეს ე. თაყაიშვილის ამა თუ  
იმ ფილოლოგიურ ნაშრომს. მაგრამ გამოჩენილი მამულიშვილის მთელი  
ფილოლოგიური ნააზრევის სისტემური გამოკვლევა ჯერ-ჯერობით არ  
დაწერილა. ე. თაყაიშვილის ფილოლოგიური დეაწლი ყველაზე სრულად  
და კომპაქტურად ა. ბარამიძემ გამოიკვლია. სტატია დაიბეჭდა 1966  
წელს გამოსულ კრებულში. აქ ძირითადად აქცენტირებულია ე.  
თაყაიშვილის გამოკვლევები ძველ ქართულ ლიტერატურაში, ახალი და  
უახლესი ქართული ლიტერატურის პრობლემებზე გამოთქმული ე.  
თაყაიშვილის აზრები აქ ნახსენები არცაა. გარდა ამისა, 1966 წლის  
შემდეგ ზოგი სადავო და ბუნდოვანი საკითხები დახუსტდა, ზოგზე  
წარმოდგენები შეგვეცვალა.

-1824-